მალხაზ მაცაბერიძე

კარლ შმიტის გეოპოლიტიკური თეორია

თბილისი
2015

შინაარსი

კარლ შმიტი – ცხოვრების გზა 3
პოლიტიკის განმარტება - შმიტის გეოპოლიტიკური კონცეფციის საფუძველი 4
ხალხის ერთგვაროვნება (ჰომოგენურობა) და ხალხის უფლება 7
სივრცის იკონოგრაფია 8
ხმელეთის ნომოსი 8
ხმელეთის სამი ნომოსი 9
ხმელეთი და ზღვა 10
"დიდი სივრცის" თეორია 13
ტოტალური ომის კონცეფცია 14
პარტიზანი 15

კარლ შმიტი – ცხოვრების გზა

გერმანელი მეცნიერი კარლ შმიტი (1888-1985) ცნობილია როგორც იურისტი, პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, მაგრამ მისი უმთავრესი იდეები გეოპოლიტიკურ კონცეფციებს უკავშირდება. კ.შმიტის ძირითადი ნაშრომები "მიწის ნომოსი"(1950), "მიწა და ზღვა" (1942) ეძღვნება გეოპოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენის გააზრებას ცივილიზაციასა და პოლიტიკურ ისტორიაზე.

შმიტი სწავლობდა იურისპრუდენციას ბერლინის უნივერსიტეტში. თავიდან ის ნაციონალ-სოციალისტების წინააღმდეგ იყო განწყობილი, მაგრამ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 1933 წლის 1 მაისს შმიტი ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში შევიდა. მან სწრაფად აითვისა ნაცისტური რიტორიკა. მის პუბლიკაციებში ჩნდება ადრე სრულიად უცხო ანტისემიტური სულისკვეთება. ის რეჟიმს უბრალოდ კი არ ეგუება, არამედ მისი აქტიური აპოლიგეტი ხდება. თუმცა ამ აქტიურობამ მის წინააღმდეგ განაწყო ნაცისტური პარტიის ძველი წევრები და შმიტი ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. საბოლოო ჯამში, ამან გადაარჩინა შმიტი ნაციზმის კრახის შემდეგ.

„მესამე რაიხის“ დაცემის შემდეგ შმიტი ჯერ საბჭოთა მხარემ დააპატიმრა, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს. შემდეგ დენაციფიკაციას გადიოდა ამერიკელებთან და მათ ციხეში ერთ წელზე მეტი გააჩერეს. ნიურნბერგის პროცესზე კარლ შმიტის წაუყენეს ბრალდება „სამხედრო აგრესიის ლეგიტიმურობის თეორიული დასაბუთების“ თაობაზე. საქმის დეტალური გაცნობის შემდეგ ბრალდება მოეხსნა. თუმცა 1950-60-იან წლებში შმიტი, ნაციზმთან თანამშრომლობის გამო, დავიწყებას მიეცა. შმიტი იყო „გერმანული დანაშაულის“ ცოცხალი სიმბოლო, ის იყო ინტელექტუალის დაცემისა და პასუხისმგებლობის სიმბოლო. შმიტი უნივერსიტეტში მუშაობას ჩამოაშორეს, თუმცა მარტინ ჰაიდეგერი აგრძელებდა უნივერსიტეტში სწავლებას.

კარლ შმიტი ახლოს იდგა კონსერვატიული რევოლუციის გერმანელ წარმომადგენლებთან. ეს პარადოქსული მიმდინარეობა ერთმანეთს უხამებდა ნაციონალ-კონსერვატიულ და სოციალურ-რევოლუციურ ელემენტებს. ამ მიმდინარეობის სხვა წარმომადგენლების მსგავსად, შმიტის დამოკიდებულება ნაციონალ-სოციალისტურ რეჟიმისადმი ორგვარი

იყო. ერთი მხრივ, მისმა თეორიებმა ზეგავლენა მოახდინეს ნაცისტურ იდეოლოგიაზე. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა მისი პოლიტოლოგიური ნაშრომები "პოლიტიკური თეოლოგია" და "პოლიტიკურის ცნება". ამ წიგნებში შმიტმა გააკრიტიკა ლიბერალური სამართალი და "სამართლებრივი სახელმწიფოს" იდეები. აღნიშნულ ნაშრომებში უკვე ფაქტობრივად ჩანს შმიტის მთელი შემდგომი ინტელექტუალური შემოქმედების კონტურები - პოლიტიკური რეალიზმი, მისწრაფება პოლიტიკის კვლევა გაანთავისუფლოს ჰუმანიტარული რიტორიკის, სენტიმენტალური პათოსის, სოციალური დემაგოგიისაგან. ეს სავსებით შეესაბამებოდა ნაციონალ-სოციალისტურ სულისკვეთებას.

შმიტის იდეური ფორმირება, რატცელისა და კელენის მსგავსად, "ორგანული სოციოლოგიის" იდეების ფარგლებში ხდებოდა, მაგრამ მასზე ზეგავლენა მოახდინა "ჩრდილოეთის სინათლის" (Nordlicht) რომანტიკულმა თეორიებმაც. ამ თეორიების თანახმად, სოციალურ-პოლიტიკური ფორმები და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ემყარებიან მითოლოგიას, "სტიქიისა და სულების" საკრალურ სამყაროს. შმიტის თეორიებში პარადოქსულადაა შერწყმული "პოლიტიკური რომანტიზმი" და "მკაცრი რაციონალიზმი".

პოლიტიკის განმარტება - შმიტის გეოპოლიტიკური კონცეფციის საფუძველი

შმიტის გეოპოლიტიკური თეორია გამომდინარეობდა მის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკის კონცეფციიდან. პოლიტიკის სპეციფიკის გააზრებას შმიტმა საფუძვლად დაუდო დაყოფა „მეგობარი“ – „მტერი“ .[1]

კარლ შმიტმა "მეგობარი-მტრის" კონცეფცია პირველად გადმოსცა 1927 წლის 10 მაისს ბერლინის პოლიტიკის უმაღლეს სკოლაში წაკითხულ ლექციაში. ამ ლექციას ფართო გამოხმაურება მოჰყვა და მწვავე დისკუსია გამოიწვია, თავად შმიტის სახელი კი გერმანიის სამეცნიერო წრე-

[1] პოლიტიკის განმარტებები მერყეობს კონფლიქტურ და კონსენსუსურ დეფინიციებს შორის. პოლიტიკის კონფლიქტური დეფინიციები აქცენტს აკეთებენ წინააღმდეგობებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს პოლიტიკას, განსაზღვრავენ მის დინამიკას. პოლიტიკა განიხილება როგორც საქმიანობა კონფლიქტების ძალადობრივი ან მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის. პოლიტიკას ტონს აძლევს კონფლიქტი, მაგრამ ის ჩვეულებრივ შეუძლებელია გარკვეული კონსენსუსის გარეშე.

ებში ყველასთვის ცნობილი გახდა. შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომი "პოლიტიკურის ცნება" კი აღმოჩნდა კარლ შმიტის შემოქმედების მწვერვალი, რომელშიც თავმოყრილი იყო შმიტის ყველა ფუძემდებლური იდეა.

შმიტის თანახმად, პოლიტიკას არა აქვს საკუთარი საფუძველი, სუბსტრატი. "პოლიტიკური" ახასიათებს არა რაღაც გარკვეულ სპეციფიურ სფეროს, არამედ მხოლოდ ადამიანთა გაერთიანების (ასოციაციის) ან გათიშულობის (დისოციაციის) ხარისხს, რომლის მოტივებიც შეიძლება იყოს რელიგიური, ნაციონალური, ეკონომიკური და სხვა სახის. ადამიანი პოლიტიკას ვერ დაემალება. "პოლიტიკურის" უარყოფით ადამიანი აღარ იქნება ადამიანი. "პოლიტიკურის" აუცილებლობა ჩადებულია თავად ადამიანის ბუნებაში.

ადამიანის ბუნებაზე ლაპარაკისას შმიტი იყენებს ანტითეზას "არასაშიში" - "საშიში". ნებისმიერი ჭეშმარიტად პოლიტიკური თეორია, შმიტის აზრით, ემყარება ამოსავალ პრინციპს, რომ ადამიანი - "საშიში არსებაა". იმის გამო, რომ ადამიანი "საშიშია" მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს "პოლიტიკურის" აუცილებლობაც.[2]

დაყოფა პრინციპით „მეგობარი-მტერი“ პირველ რიგში სახელმწიფოთშორის ურთიერთობებს მიეკუთვნება. მაგრამ ამგვარ დიქოტომიურ მიდგომას შმიტი ავრცელებს შიდაპოლიტიკურ სფეროზეც. ამ ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით შიდაპოლიტიკური დაყოფის ლოგიკური შედეგია სამოქალაქო ომი.

1963 წელს კარლ შმიტმა დააზუსტა, რომ "მტრის" მისეული კონცეფცია არ ნიშნავს, რომ ეს მტერი უნდა განადგურდეს და რომ მას მხედ-

[2] შმიტისეული "პოლიტიკურის" ცნება ძალზედ გავს ჰობსის "ბუნებით მდგომარეობას", ე.ი. "ყველას ყველას წინააღმდეგ ომის" მდგომარეობას. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს პერმანენტულ ომს, მაგრამ ყოველთვის ესაა ისეთი მდგომარეობა, რომელიც თავის თავში ატარებს ომის მუდმივ შესაძლებლობას ე.ი. საბრძოლო ვითარებას, რომელიც უპირისპირდება პაციფიზმს, ჰუმანისტურ იდილიას. ის მსოფლიოს "აუცილებელ სერიოზულობას" ანიჭებს. მხოლოდ მსოფლიოში "პოლიტიკურის" დომინირების შემთხვევაში ადამიანს შეიძლება მოვთხოვოთ თავგანწირვა, მაშინ როდესაც ჰუმანისტურ-პაციფისტური სამყარო, სადაც მთავარი გართობა და სიამოვნებაა, ამას არ იმსახურებს.

ველობაში ქონდა "თავდაცვა, ძალების გამოცდა და საერთო საზღვრის დადგენა". [3]

"პოლიტიკურის" უმნიშვნელოვანესი პრინციპია ნება, რომლის მატარებელიცაა ხალხი, კოლექტიური ორგანიზმი. ხალხის პრეროგატივაა განსაზღვროს, ვინაა მტერი და ვინაა მეგობარი. ამაში მდგომარეობს "ხალხის პოლიტიკური ყოფიერების არსი". თუკი ხალხი კარგავს მტრე-ბის მეგობრებისაგან გარჩევის უნარს და ნებას, მაშინ წყდება მისი პოლი-ტიკური არსებობაც. "პოლიტიკურის" დონემდე ამაღლდებიან მხოლოდ ის ხალხები, რომელთაც საკმარისი ნება და ძალა გააჩნიათ.

"პოლიტიკურის" შმიტისეული კონცეფცია არ ატარებდა რასის-ტულ ხასიათს. ეს არაა რომელიმე ერთი ხალხის მონოპოლია. არავის არა აქვს გარანტირებული პოლიტიკურ ოლიმპზე მარადიული ყოფნა. იმის გამო, რომ ესა თუ ის ხალხი, რომელიც სასიცოცხლო ძალებს კარგავს და პოლიტიკური ავანსცენიდან ჩადის, თავად "პოლიტიკური" არასოდეს ქრება. ლეო შტრაუსმა სწორად შენიშნა, რომ შმიტი "პოლიტიკურის" ამ-ომწურავ განსაზღვრებას არ იძლევა. "პოლიტიკურის" არსი შმიტს დაჰ-ყავს მისი კრიტერიუმის საკითხზე და ასეთად მიიჩნევს მტრებისა და მე-გობრების განსხვავების უნარს. თუკი ასეთი განსხვავების გავლება არ ხდება, "არ არსებობს პოლიტიკური ცხოვრებაც". მაგრამ პოლიტიკის გა-უქმება შეუძლებელია. არც ცალკე ადამიანს, არც მთელ ხალხს არ შეუძ-ლია გაექცეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, ვერ დაემალება მას მორა-ლის ან ეკონომიკის სფეროში.

"მტრის" ცნება "პოლიტიკურის" მთავარი ელემენტია. წყვილში "მე-გობარი-მტერი" პირველი ნაწილი ატარებს წმინდა სემანტიკურ ხასიათს, რასაც ვერ ვიტყვით მეორეზე. მტერი სიმბოლო კი არა, რეალობაა, ყოფი-ერების განუყოფელი ნაწილია, რომელიც ამ ყოფიერებას პოლიტიკურად გადააქცევს.

მტრობა მთავარი სტიმულია პოლიტიკური არსებობისათვის. მტრის არსებობის წყალობით ხალხი უნდა იყოს მუდმივი მობილი-ზაციის მდგომარეობაში, თავის თავს უმცირესი სისუსტის გამოჩენის უფ-

[3] შმიტი არ ახდენს მტრის დემონიზირებას, მაგრამ მისი კონცეფცია მტრის მითო-ლოგიზაციის შესაძლებლობას იძლევა მემარჯვენე რადიკალურ და ფაშისტურ სტილშიც კი, როდესაც მტერს წარმოსახავენ ჯოჯოხეთურ ძალად, რომლის გა-ნადგურებაც საჭიროა ნებისმიერი საშუალებით.

ლებასაც ვერ მისცემს. სახელმწიფო რჩება სახელმწიფოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეძლებს მტრის განსაზღვრას.

"პოლიტიკურის" ცნება შმიტთან ანტილიბერალურ ხასიათს ატარებს, ისევე როგორც შმიტის მთელი კონცეფცია. მშვიდობისმოყვარე, „დონდლო“ ლიბერალიზმში, რომელიც პაციფიზმისა და ნეიტრალიზმის ტენდენციებითაა გამსჭვალული, შმიტი ხედავს გადაწყვეტილებებსა და მებრძოლ ხასიათზე ორიენტირებულ "პოლიტიკურის" უარყოფას.

"მეგობარი-მტერის" ფორმულის საფუძველზე მსოფლიოს შავ-თეთრი ხედვა გამოკვეთილად ანტიკონსენსუსური ხასიათისაა და მიმართულია პირველ რიგში ლიბერალიზმის წინააღმდეგ, რომელიც კომპრომისებისა და თანხმობის მიღწევისაკენ იხრება.[4]

ხალხის ერთგვაროვნება (ჰომოგენურობა) და ხალხის უფლება

პოლიტიკის შმიტისეულ გააზრებიდან გამომდინარეობს **„ხალხის ერთგვაროვნების (ჰომოგენურობის) ცნება.** ხალხის ერთგვაროვნება (ჰომოგენურობა) წარმოიქმნება პოლიტიკურად არსებობის, რაციონალური ერთიანობის და მთლიანობის ნებიდან. შმიტის თანახმად, მხოლოდ ჰომოგენური, თვითიდენტიფიცირების პროცესს გავლილ ხალხს შეუძლია თავისი ნების გამოხატვა. ამ ნების გამომხატველი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო ან მისი ხელმძღვანელები, რომელთაც შეუძლიათ გაიაზრონ თუ რა არის საზოგადოებისთვის კარგი და მოახდინონ მისი რეალიზება.

შმიტი გადაჭრით უარყოფდა სოციალური ჯგუფების ინტერესების პლურალიზმს და ამას მცდარად და საშიშად მიიჩნევდა. მისი აზრით, ყოველი ჯგუფი გამოხატავს მხოლოდ საკუთარ მოთხოვნებს და არ შეუძლია შეიგნოს თუ რა არის საზოგადოებისთვის კარგი.

ამასთან ერთად, შმიტის მთელი კონცეფცია ემყარებოდა "ხალხის უფლებათა" (Volksrechte) ფუნდამენტურ იდეას, რომელსაც იგი უპირ-

[4] შმიტი მიმართებას "მეგობარი" - "მტერი" ანიჭებს განმსაზღვრელ მნიშვნელობას, ამასთან ჩრდილში ტოვებს ადამიანთა პოლიტიკური დიფერენციაციის ობიექტურ საფუძვლებს. მისი კონცეფცია კარგად ხსნის პოლიტიკის სუბიექტურ განცდას, მის ემოციურ მოტივაციას. მაგრამ მიმართება "მეგობრები" - "მტრები" პოლიტიკის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ვერ მოიცავს მთელ მის შინაარსს.

ისპირებდა "ადამიანის უფლებათა" ლიბერალურ თეორიას. მისი გაგებით, ყოველ ხალხს კულტურული სუვერენობის უფლება ქონდა, ანუ უფლება შეენარჩუნებინა თავისი სულიერი, ისტორიული და პოლიტიკური იდენტურობა. ასეთი მიდგომა ზოგიერთ ნაციონალ-სოციალისტსაც ახასიათებდა, მაგრამ რეჟიმის გაბატონებულ ხაზს წარმოადგენდა შოვინიზმსა და ვიწრო ნაციონალისტურ მიდგომაზე დაფუძნებული პანგერმანიზმი. ამიტომ შმიტს და განსაკუთრებით "ხალხთა უფლებების" მის თეორიას სასტიკად აკრიტიკებდნენ ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგები, განსაკუთრებით სს-ის მხრიდან (1936 წ. სს-ის ორგანოში „შავი კორპუსი“ გამოქვეყნდა მუქარით აღსავსე სტატია შმიტის წინააღმდეგ).

სივრცის იკონოგრაფია

ყოველი ხალხი თავისებურად ითვისებს და ორგანიზებას უწევს საკუთარ სასიცოცხლო სივრცეს, აყალიბებს მის იკონოგრაფიას. სივრცის იკონოგრაფიაში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ფორმებთან ერთად შმიტი მოიაზრებდა ადამიანის ყოფის გამოვლენის ყველა სხვა ტიპურ ფორმას, გრძნობებისა და აზრების სიმბოლურ ენას იმ სახით, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული ტერიტორიებისთვის თავისი განუმეორებელი კულტურით.

სივრცის იკონოგრაფიას შმიტი მიაკუთვნებდა წარსულის სახეებს, მითებს და ლეგენდებს, ისევე როგორც სიმბოლოებსა და ტაბუებს, რომლებიც ტოპოგრაფიულად ლოკალიზებულია ერთ გარკვეულ სივრცეში და მხოლოდ ამის გამო იძენენ ისტორიული სინამდვილის ხასიათს. შმიტი აღნიშნავდა, რომ ყოველ ხალხს უფლება აქვს შეინარჩუნოს თავისი სულიერი და პოლიტიკური იდენტობა, კულტურული სუვერენობა.

ხმელეთის ნომოსი

შმიტი, გეოპოლიტიკური მიდგომის სულისკვეთების შესაბამისად, მიუთითებდა პოლიტიკური კულტურის დასაბამისეულ კავშირზე სივრცესთან. მისთვის არა მარტო სახელმწიფო, არამედ მთელი სოციალური რეალობა და, განსაკუთრებით, სამართალი გამომდინარეობს სივრცის თვისობრივი ორგანიზაციიდან.

პოლიტიკური იდენტიფიკაციის მოქმედების მექანიზმის გასაგებად შმიტი აყალიბებს „ხმელეთის ნომოსის“ ცნებას. "ნომოსი" ნიშნავს რაღაც "გაფორმებულს, მოწესრიგებულს, ორგანიზებულს" სივრცის აზ-

რით.[5] შმიტისთვის "ნომოსი" ყოფიერების ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომელიც ყველაზე ჰარმონიულ თანაფარდობას ამყარებს როგორც სოციალური ანსამბლის შიგნით, ისე ამ ანსამბლებს შორის. "ნომოსი" გამოხატულებაა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების განსაკუთრებული სინთეტური შეხამებისა, ის ორგანულად ვლინდება პოლიტიკური დი იურიდიული სისტემების შექმნაში. "ნომოსში" განსახიერდება ადამიანთა კოლექტივის ბუნებრივი და კულტურული თავისებურებანი გარემოსთან შეხამებით.

წიგნში "ხმელეთის ნომოსი" შმიტი შეეცადა ეჩვენებინა თუ რა გავლენას ახდენდა ხმელეთის ამა თუ იმ სივრცის სპეციფიკა მასზე განვითარებულ კულტურასა და სახელმწიფოზე. ის ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა ისტორიულ "ნომოსებს", განსაკუთრებით კი ხაზს უსვამს სივრცისადმი დამოკიდებულებაში ფუნდამენტალურ დუალიზმს მომთაბარეებსა და ბინადარ ხალხებს შორის.

ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რაც "მიწის ნომოსის" ანალიზიდან გამოიტანა შმიტმა, ესაა ხმელეთისა და ზღვის ცივილიზაციების გლობალური ისტორიული და ცივილიზაციური დაპირისპირების თეზისი. მიწის "ნომოსის" კვლევისას, მან ერთმანეთს დაუპისპირა თვისობრივად საპირისპირო ზღვის "ნომოსი". ამან განაპირობა შმიტის მიერ თავისებური გეოპოლიტიკური მეთოდოლოგიის შექმნა, რომლითაც მსოფლიოს პოლიტიკური ისტორიის გააზრებას ცდილობდა.

ხმელეთის სამი ნომოსი

შმიტის ხმელეთის ნომოსის კონცეფციაში სასიცოცხლო სივრცის ფორმირება და განვითარება წარმოდგება როგორც ნიადაგის (სივრცის) და ადამიანების ურთიერთკავშირის ფორმების ცვლა. ამის შესაბამისად შმიტმა გამოყო ხმელეთის სამი ნომოსი და გეოპოლიტიკური განვითარების სამი ფაზა.

ხმელეთის პირველი ნომოსი არსებობდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების წინა პერიოდში, როდესაც ცნობილი არ იყო ოკეანეები და ამერიკა, ამიტომ ადამიანებს არ ქონდათ გლობალური წარმოდგენა პლანეტის შესახებ. ყოველი მრავალრიცხოვანი ხალხი თავს მიიჩნევდა

[5] ეს ტერმინი ახლოს დგას რატცელის „რელიეფთან“ და სავიცკის „ადგილგანვითარებასთან“.

მსოფლიოს ცენტრად და ესწრაფვოდა გაფართოებას, სანამ არ წააწყდებოდა ორგანიზებულ სამხედრო წინააღმდეგობას სხვა ხალხის მხრიდან.

ხმელეთის მეორე ნომოსი უკავშირდება დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, რაც ევროპელმა ხალხებმა განახორციელეს. მათ ხმელეთი ერთმანეთს შორის გაინაწილეს, მაგრამ ზღვა თავისუფალი დარჩა. ყველაზე მდიდარმა საზღვაო სახელმწიფომ - ინგლისმა თანდათანობით დაიპყრო მსოფლიო ოკეანეები და დაამყარა წონასწორობა ხმელეთსა და ზღვას შორის. ევროპაში იყო ძალთა თავისებური განლაგება, რომლის კონფიგურაციაც არ გულისხმობდა არცერთი კონტინენტური სახელმწიფოს ჰეგემონიას. სტაბილურობის გარანტი იყო ინგლისი. ევროპოცენტრისტული მეორე ნომოსი დაანგრია პირველმა მსოფლიო ომმა.

ხმელეთის მესამე ნომოსი შეესაბამებოდა ოპი ბლოკის არსებობას - „აღმოსავლეთის“ (ვარშავის ხელშეკრულება) და „დასავლეთის“ (ნატო), რომლებიც ერთმანეთთან ცივი ომის მდგომარეობაში იყვნენ ერთმანეთთან.

ხმელეთი და ზღვა

1942 წელს შმიტმა გამოაქვეყნა ნაშრომი "ხმელეთი და ზღვა". უფრო გვიანდელ ნაშრომთან ერთად ("პლანეტარული დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირება") იგი გეოპოლიტიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს.

ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირების არსი, შმიტის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ საქმე გვაქვს ორ სრულიად სხვადასხვა მტრულ ცივილიზაციასთან და არა ერთიანი ცივილიზაციური კომპლექსის ვარიანტებთან. ეს დაყოფა თითქმის ზუსტად ემთხვევა მაკინდერის მიერ დახატულ სურათს, მაგრამ შმიტი მის ძირითად ელემენტებს - თალასოკრატიას (საზღვაო ძალა) და ტელუროკრატიას (სახმელეთო ძალა) ღრმა ფილოსოფიურ განმარტებას აძლევს და საბაზო იურიდიულ-ეთიკურ სისტემებს უკავშირებს.

"ხმელეთის ძალების" აღსანიშნავად შმიტი იყენებს ტერმინს "ბეჰემოთი", ხოლო "ზღვის ძალების" აღსანიშნავად "ლევიათანს". ეს ორი ტერ-

მინი ძველი აღთქმის ორი ურჩხულის - სახმელეთოსა და საზღვაოს გახსენებაა.

ხმელეთის ნომოსი ალტერნატივის გარეშე არსებობს კაცობრიობის ისტორიის უმეტესი პერიოდის მანძილზე. ამ ნომოსის ყველა სახესხვაობა ხასიათდება მკაცრი და მდგრადი ლეგისლატიური (და ეთიკური) ფორმების არსებობით, რომელშიც აისახება ხმელეთის, მიწის უძრაობა და ფიქსირებულობა. ეს კავშირი მიწასთან, რომლის სივრცეც ადვილად ექვემდებარება სტრუქტურალიზაციას (საზღვრების ფიქსირებულობა, კომუნიკაციების მუდმივობა, გეოგრაფიული და რელიეფური თავისებურებების უცვლელობა) წარმოშობს არსობრივ კონსერვატიზმს სოციალურ, კულტურულ და ტექნიკურ სფეროებში. ხმელეთის "ნომოსის" ვერსიების ერთობლიობა შეადგენს იმას, რასაც ეწოდება "ტრადიციული საზოგადოების" ისტორია.

ამ სიტუაციაში ზღვა, წყალი მხოლოდ პერიფერიული ცივილიზაციური მოვლენაა, რომელიც არ იჭრება "ეთიკურის" სფეროში (ან იჭრება ეპიზოდურად). სიტუაცია რადიკალურად იცვლება XVI საუკუნეში მსოფლიო ოკეანის აღმოჩენის შემდეგ. კაცობრიობა (და პირველ რიგში კუნძულოვანი ინგლისი) იწყებს "საზღვაო არსებობისადმი" შეჩვევას, თანდათან საკუთარ თავს შეიგრძნეობს შუა წყალში მოქცეულ კუნძულად, ხომალდად.

ინგლისი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ მიიღო ახალი ისტორიული გამოწვევა. კ.შმიტი აღნიშნავდა, რომ ამ გამოწვევას პირველად კაცობრიობის ისტორიაში პლანეტარული, გლობალური ხასიათი ჰქონდა.

ევროპის ხალხების უმრავლესობამ ეს გამოწვევა კონტინენტურ, სახმელეთო ტერმინებში გაიაზრა. ესპანეთმა გიგანტური ოკეანისიქითა იმპერია შექმნა, მაგრამ დარჩა სახმელეთო სახელმწიფოდ. რუსეთმა უზარმაზარი სახმელეთო სივრცე - ციმბირი დაიპყრო. პორტუგალიელებმაც, მიუხედავად ზღვაოსნობაში დიდი წარმატებებისა, ასევე ვერ შეძლეს წმინდა საზღვაო არსებობაზე გადასვლა. ჰოლანდიის საზღვაო განვითარება კი ინგლისმა შეაჩერა და იგი "ხმელეთზე მიბმული" დატოვა.

ინგლისი, რომელივ ევროპის კონტინენტის კუნძულოვანი ნაწილი იყო, XVI საუკუნიდან თანდათანობით წმინდა საზღვაო არსებობაზე გადადის. შედეგად, ბრიტანეთმა შესძლო არა მარტო საზღვაო, არამედ საოკეანო, მსოფლიო იმპერიის შექმნა.

მაგრამ წყლის სივრცე მკვეთრად განსხვავდება ხმელეთისაგან. ის არამუდმივია, მტრული, გაუცხოებული, მუდმივ ცვალებადობას განიც-

დის. მასზე დაფიქსირებული არაა გზები, თვალსაჩინო არაა განსხვავებული ორიენტაციები. ზღვის ნომოსი ცნობიერების გლობალურ ტრანსფორმაციას იწვევს. სოციალური, იურიდიული და ეთიკური ნორმატივები "მიმდინარედ" იქცევა. იბადება ახალი ცივილიზაცია. შმიტს მიაჩნდა, რომ ახალი დრო და ნახტომი ტექნიკის განვითარებაში, რამაც დასაბამი მისცა ინდუსტრიალიზაციის ერას, თავის არსებობას სწორედ გეოპოლიტიკურ ფენომენს უნდა უმადლოდეს - კაცობრიობის გადასვლას ზღვის ნომოსზე.

შმიტი მიუთითებდა, რომ სამრეწველო რევოლუცია XVIII ს. ინგლისში შემთხვევით არ მომხდარა. სამრეწველო რევოლუცია გულისხმობს განთავისუფლებულ ტექნიკურ პროგრესს, ეს განთავისუფლება კი გასაგები ხდება მხოლოდ საზღვაო არსებობის სპეციფიკიდან გამომდინარე. სახმელეთო არსებობა, რომლის ცენტრი სახლია, სულ სხვაგვარად უყურებს საზღვაო არსებობას, რომლის ცენტრიც ხომალდია. მხოლოდ საზღვაო არსებობის პირობები განაპირობებს ტექნიკური პროგრესის აბსოლუტიზაციას.

საზღვაო არსებობის პირობებში ტექნიკური აღმოჩენები უფრო ადვილად ხდება, რადგანაც სავალდებულო არაა მათი ჩართვა სახმელეთო არსებობისათვის დამახასიათებელი ნორმატივების ფიქსირებულ სტრუქტურაში. ჩინელებმა დენთი ევროპელებზე ადრე აღმოაჩინეს, მაგრამ იმდროინდელი ჩინეთის წმინდა სახმელეთო, დახურული არსებობის პირობებში, დენთი მხოლოდ თამაშისა და ფეიერვერკებისათვის გამოიყენებოდა.

შმიტის თანახმად, პროგრესის უსაზღვრო რწმენა იმის ყველაზე სანდო ნიშანს წარმოადგენს, რომ მოხდა საზღვაო არსებობაზე გადასვლა.

შმიტს არასწორად მიაჩნია მომთაბარე და ბინადარი ხალხებისა და ხმელეთსა და ზღვას შორის დაპირისპირების ერთ რიგში განხილვა, რადგან მართებული არაა სახმელეთო პირობების გადატანა ზღვის სტიქიაზე. ადამიანის ეს ორი სასიცოცხლო სივრცე რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ამრიგად, "გარეთა ნახევარმთვარის" ანგლოსაქსური მსოფლიოს გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას კონტინენტთან შმიტი სოციალურ-პოლიტიკურ დეფინიციას აძლევს. ზღვის ნომოსი არის რეალობა, მტრული ტრადიციული საზოგადოებისადმი. სახმელეთო სახელმწიფოების გეოპოლიტიკური დაპირისპირება საზღვაო სახელმწიფოებთან ისტორიულ, იდეოლოგიურ და ფილოსოფიურ აზრს იძენს.

"დიდი სივრცის" თეორია

შმიტმა დაამუშავა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური თეორია - "დიდი სივრცის" თეორია. ეს კონცეფცია სახელმწიფოთა განვითარების პროცესს განიხილავს როგორც მაქსიმალური ტერიტორიული მოცულობის შეძენისაკენ სწრაფვას. იმპერიული ინტეგრაციის პრინციპი გამოხატავს სინთეზისადმი ლოგიკური და ბუნებრივი ადამიანური მისწრაფებას. სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოების ეტაპები, ამრიგად, შეესაბამება უნივერსალიზმისკენ ადამიანური სულის მოძრაობის ეტაპებს.

აღნიშნული გეოპოლიტიკური კანონი ტექნიკურ და ეკონომიკურ სფეროებზეც ვრცელდება. შმიტი აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ტექნიკური და ეკონომიკური განვითარება, გარკვეული მომენტიდან დაწყებული, მისი ტერიტორიის რაოდენობრივ და თვისობრივ გადიდებას მოითხოვს. ამასთან, სულაც არაა სავალდებულო ამან კოლონიზაციის, ანექსიის, სამხედრო შეჭრის სახე მიიღოს. "დიდი სივრცის" ჩამოყალიბება შეიძლება მიმდინარეობდეს სხვა კანონების საფუძველზეც - მისი საფუძველი შეიძლება აღმოჩნდეს რამდენიმე სახელმწიფოს ან ხალხის მიერ ერთიანი რელიგიური ან კულტურული ფორმის მიღება.

შმიტის თანახმად, ხმელეთის ნომოსის განვითარებამ უნდა გამოიწვიოს სახელმწიფო-კონტინენტის ჩამოყალიბება. სახელმწიფო-კონტინენტისკენ მოძრაობის ეტაპებია ქალაქი-სახელმწიფოები და სახელმწიფო-ტერიტორიები. შმიტის აზრით, სახმელეთო სახელმწიფო-კონტინენტის წარმოშობა, რომელიც მატერიკული "დიდი სივრცეა", ისტორიულ და გეოპოლიტიკურ აუცილებლობას წარმოადგენს.

1940 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "სივრცე და დიდი სივრცე ხალხთა უფლებაში" შმიტმა ასე განსაზღვრა "დიდი სივრცე": "პლანიფიკაციის, ორგანიზაციისა და ადამიანური მოღვაწეობის სფერო, რომელიც ეფუძნება მომავალი განვითარების აქტუალურ და მოცულობით ტენდენციებს". ამ ცოტა ბუნდოვანი ფორმულირების დაზუსტებისას, შმიტი მიუთითებდა "დიდი სივრცის" ნებელობითი შექმნის მაგალითზე, რომელსაც ცხოვრებაში ატარებდა მონროს ამერიკული დოქტრინა.

"დიდი სივრცე", გარკვეული აზრით, შეიძლება გავაიგივოთ სახელმწიფოსთან, უფრო ზუსტად, იმპერიასთან, თუმცა აღნიშნული კონცეფცია ჩვეულებრივი სახელმწიფოს ფარგლებიდან გამოდის. ესაა ზეეროვნული გაერთიანების ახალი ფორმა, რომელიც სტრატეგიულ, გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფაქტორს ეფუძნება.

ჰიტლერის უნიფიკაციური პანგერმანული მოდელისა და საბჭოური ინტერნაციონალიზმისგან განსხვავებით, შმიტის "დიდი სივრცე" ეფუძნება კულტურულ და ეთნიკურ პლურალიზმს, ფართო ავტონომიას, რაც იზღუდება მხოლოდ სტრატეგიული ცენტრალიზმით და უმაღლესი ხელისუფლებითი ინსტანციისადმი ტოტალური ლოიალობით.

ამასთან შმიტი ხაზს უსვამდა, რომ ახალი "დიდი სივრცის" შექმნა დამოკიდებული არაა არც თვით დოქტრინის მეცნიერულ ღირებულებაზე, არც კულტურულ კომპეტენტურობაზე, არც მისი შემადგენელი ნაწილების ეკონომიკურ განვითარებაზე და არც ტერიტორიულ და ეთნიკურ ცენტრზე, საიდანაც მომდინარეობს ინტეგრაციის იმპულსი. ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, რომელმაც შეიცნო ასეთი გეოპოლიტიკური ნაბიჯის ისტორიული აუცილებლობა.

ტოტალური ომის კონცეფცია

შმიტი იკვლევდა სამი კონცეფციის - "ტოტალური მტერი", "ტოტალური ომი", "ტოტალური სახელმწიფო" - კავშირს. მისი აზრით, "ტოტალური სახელმწიფო" ყველაზე სრულყოფილი ფორმაა ტრადიციული ტიპის სახელმწიფოსი, ე.ი. იგი მიაჩნდა სახმელეთო ნომოსის განვითარების მწვერვალად. მიუხედავად ასეთი სახელმწიფოს ისტორიული ევოლუციის შესაძლებლობისა "დიდი სივრცის" მასშტაბებამდე, მასში უცვლელი რჩება არსობრივი თვისობრიობა. "ტოტალური სახელმწიფო" გამორიცხავს "ტოტალური მტრისა" და "ტოტალური ომის" პრინციპს, რადგანაც მოწინააღმდეგეზე, "მტერზე" წარმოდგენას იგი აგებს საკუთარი თავის საფუძველზე და, მაშასადამე, აყენებს "ფორმათა ომის" კონცეფციას, რომელშიც მოქმედებს ოგთ იუდდგქ და მონაწილეობენ მხოლოდ პროფესიონალი სამხედროების შეზღუდული კონტინგენტები. მშვიდობიანი მოსახლეობა და კერძო საკუთრება, თავის მხრივ, კანონითაა დაცული და ჩამოცილებულია (უკიდურეს შემთხვევაში თეორიულად მაინც) სამხედრო მოქმედებათა სფეროს.

ლიბერალური დოქტრინა, რომელსაც შმიტი ცალსახად უკავშირებდა ახალ დროებას და, მაშასადამე, "საზღვაო ცივილიზაციას", ზღვის ნომოსს, "ტოტალური სახელმწიფოს" უარყოფით გზას ხსნის "ტოტალური ომისა" და "ტოტალური მტრის" კონცეფციისკენ. 1941 წელს სტატიაში "სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და ღია ზღვა" იგი წერდა: "ომი ხმელეთზე ექვემდებარებოდა იურიდიულ ნორმებს, რადგანაც ის იყო ომი

სახელმწიფოებს შორის, ე.ი. მტრული სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს შორის. მისი რაციონალიზაცია ვლინდებოდა მის შეზღუდვაში და მისწრაფებაში გამოეყვანათ ომის ფარგლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობა და კერძო საკუთრების ობიექტები. ომი ზღვაზე, პირიქით, არ წარმოადგენს ომს მკაცრად განსაზღვრულ და იურიდიულ ნორმატივებს დაქვემდებარებულ მოწინააღმდეგეთა შორის, რადგანაც ეფუძნება ტოტალური მტრის კონცეფციას".

შმიტის მიერ აღწერილი ზოგადი გეოპოლიტიკური სურათი ემყარება ცივილიზაციურ დუალიზმს, ორი "დიდი სივრცის" დაპირისპირებას - ანგლოსაქსურის (ინგლისი და ამერიკა) და კონტინენტურ-ევროპულის, ევრაზიულის. ეს ორი "დიდი სივრცე" - თალასოკრატიული და ტელუროკრატიული - ერთმანეთს შორის ეწევა პლანეტარულ ომს, რათა უკანასკნელი ნაბიჯი გადადგან უნივერსალიზაციისაკენ და გადავიდნენ კონტინენტური ბატონობიდან მსოფლიო ბატონობაზე. ამასთან, შმიტი პესიმისტურად უყურებდა შესაძლებლობას, რომ ეს კონფლიქტი დაყვანილი იქნებოდა რაიმე მკაცრ იურიდიულ ბაზაზე, რადგანაც ორივე "დიდი სივრცის" ცივილიზაციური მაკროკონცეფციები ურთიერთგამომრიცხავ ნომოსებს ეფუძნებოდა - "ხმელეთის ნომოსს" და "ზღვის ნომოსს". უკანასკნელი დამანგრეველი ელემენტი შემოაქვს ავიაციის განვითარებას, რადგანაც "საჰაერო სივრცე" ზღვაზე უფრო ნაკლებად ექვემდებარება ეთიკურ-სამართლებრივ სტრუქტურალიზაციას.

პარტიზანი

სიცოცხლის ბოლოს შმიტმა ყურადღების ცენტრში "პარტიზანის" ფიგურა მოაქცია. შმიტის აზრით, პარტიზანი ხმელეთის ნომოსის უკანასკნელი წარმომადგენელია, რომელიც თავის თავდაპირველი მოწოდების ერთგული რჩება, მიუხედავად ამ ნომოსის ისტორიულ-კულტურული საფუძვლების გათქვეფისა. "პარტიზანი" მშობლიურ მიწასთან არაფორმალური კავშირებითაა მიბმული და ამ კავშირის ისტორიული ხასიათი მას ომის ეთიკის საფუძვლებს კარნახობს, რაც მკვეთრად განსხვავდება უფრო ზოგადი და აბსტრაქტული ნორმატივებისაგან.

"საზღვაო მოდელის" და "სავაჭრო ეთიკის" მზარდ უნივერსალიზაციასთან ერთად, რომელიც, ბუნებრივია, მოიცავს საომარ მოქმედებათა სფეროსაც, "პარტიზანის" ფიგურა, შმიტის თანახმად, სულ უფრო მეტ ცივილიზაციურ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც "პარტიზანი" ისტორიის

უკანასკნელ მოქმედ პირად რჩება, რომელიც ყველა საშუალებით იცავს "სახმელეთო წესრიგს" თალასოკრატიული ტოტალური შემოტევის წინაშე. აქედან გამომდინარეობს მისი თითქმის "სოტერიოლოგიური"[6] ისტორიული ფუნქცია.

[6] თეოლოგიური მოძღვრება, რომელიც შეეხება ყოველივეს, დაკავშირებულს სოტერიასთან, ანუ ადამიანის ხსნასა და გამოსყიდვასთან